განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები

უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 28.04.2021 – 29.04.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი 07.06.2021

თბილისი

2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები Pharmaceutical and Cosmetic Technologies
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მეცნიერების ბაკალავრი ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში - 0711 Bachelor of Science in Chemical and Biological Engineering - 0711
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ქიმიური ინჟინერია და პროცესები - 0711
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 16.09.2011, #30 გადაწყვეტილებით

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა მსხილაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ ბერეჟიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია კვიჟინაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ბარათაშვილი, სს „გეფა“ ფარმაცევტული კომპანია, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ხურციძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის „ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები“-ს საბაკალავრო პროგრამა (შემდგომში პროგრამა) ეფუძნება 20 წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამების შინაარსს, კერძოდ მოქმედ საბაკალავრო პროგრამას „ფარმაცევტული პრეპარატების ქიმია და ტექნოლოგია“, აგრეთვე თანამედროვე გამოწვევებს. პროგრამა ვითარდებოდა ეტაპობრივად, როგორც გარე შეფასების და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, ასევე საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების საფუძველზე. პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წელს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2011 წლის 16 სექტემბერს, გადაწყვეტილება N 30).

პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროს სპეციალისტი, ქიმიური, ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების საფუძვლიანი ცოდნით და მიაღწიოს ეს საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, სამედიცინო და ტექნოლოგიური მიმართულების სასწავლო კურსების ინტეგრირებული სწავლების საფუძველზე.

საბაკალავრო პროგრამამ სტუდენტს უნდა მისცეს ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელი მიღებული განათლების საფუძველზე შეძლებს - სამკურნალო-პროფილაქტიკური და კოსმეტიკური საშუალებების შემუშავებას, წარმოებას, მარკეტინგს, ხარისხის უზრუნველყოფას და ანალიზს; მაღალი პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობით საქმიანობას; კრიტიკულად გაიაზროს და შეაფასოს მიღებული ცოდნა და დაგეგმოს სწავლის შემდგომი საჭიროებები.

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია და ასახავს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას, რაც განსაზღვრულია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერით და მოცემულია სწავლების სფეროს კლასიფიკატორის ქიმიური ინჟინერიისა და პროცესების სფეროში. პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელია და ითვალისწინებს 240 კრედიტის ათვისებას.

პროგრამის მიზნები შეესაბამება სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას და მიზნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 13/04/2021 MES 1 21 0000354461 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 28-29 აპრილს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ლაშა მსხილაძე (თავმჯდომარე); მალხაზ ბერეჟიანი (წევრი); ნათია კვიჟინაძე (წევრი); ნინო ქიმერიძე (წევრი); ნინო ბარათაშვილი (წევრი); ელენე ხურციძე (წევრი) განახორციელა შეხვედრა თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალების Zoom-ის მეშვეობით და ვიზიტი ქ. ქუთაისში, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის „ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები“-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
შეხვედრა მიმდინარეობდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. მიმდინარე წლის 28 აპრილს ექსპერტთა ჯგუფი (Zoom-ის მეშვეობით) შეხვდა: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. შეხვედრის დროს განხილული იქნა საბაკალავრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი განხორციელების გზები, სწავლის შედეგები, ზოგადი და პროფილური საგნების თანაფარდობა, კრედიტების განაწილების საფუძვლები და შეფასების კრიტერიუმები, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელების გზები, პრაქტიკის ბაზები, მატერიალურ ტექნიკური რესურსები, სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობები, განვითარების პერსპექტივები, სწავლის ხარისხის და შედეგების კონტროლის მექანიზმები.
მიმდინარე წლის 29 აპრილს ექსპერტთა ჯგუფმა ქ. ქუთაისში ვიზიტის დროს ადგილზე დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ - ბიბლიოთეკა, სალექციო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, პერსონალის სამუშაო სივრცეები, ლაბორატორიები. დღის ბოლოს დაწესებულების წარმომადგენლებს ჯგუფმა გააცნო ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- სტანდარტი 1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები:**

  - ✓ რეკომენდირებულია აქცენტი გაკეთდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერებაზე.
  - ✓ რეკომენდირებულია პროგრამის მეტი პოპულარიზაცია საზოგადოებაში დარგის წარმოჩენის მიზნით და გეგმაზომიერი აქტივობების შემუშავება დეფიციტური ბიუჯეტის აღმოსაფხვრელად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - ✓ პროგრამის მიზნების საფუძვლების განსაზღვრისას სასურველია ხაზი გაესვას ადგილობრივი ნედლეულის მნიშვნელობას სპეციალობასთან დაკავშირებული და მონათესავე დარგების საწარმოთა განვითარებისთვის და შესაბამისი პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს.
  - ✓ სასურველია დარგობრივი უცხო ენის სწავლების გაღრმავება.
  - ✓ პროგრამის სახელწოდებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, სასურველია სასწავლო ფარმაცევტული დისციპლინების დასახელების ცვლილება.
  - ✓ სასურველია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება.
  - ✓ სასურველია სტუდენტების მხარდაჭერა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილების მისაღებად, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას.
  - ✓ სასურველია პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისათვის იმავე უნივერსიტეტის მონათესავე ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა სწავლების პროცესში, განსაკუთრებით ფარმაცევტული ტექნოლოგიების პირდაპირი პროფილის საგნების აკადემიური პერსონალისა.
  - ✓ სასურველია საქართველოს დარგობრივი პროფილის ინსტიტუციების აკადემიური პერსონალის მონაწილეობა სასწავლო პროცესში.
  - ✓ სასურველია სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა მსგავსი პროფილის უცხოურ სასწავლებლებთან თანამშრომლობით.
  - ✓ სასურველია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობის გააქტიურება საერთაშორისო პროექტებში, კველევებსა და კონფერენციებში, მათ შორის გრანტების მოძიების კუთხით.
  - ✓ სასურველია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსების და განახლების პროცესი მიმდინარეობდეს უწყვეტად.
  - ✓ სასურველია პროგრამის ბიუჯეტში დეტალურად იყოს გაწერილი განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული/მატერიალური დანახარჯების მოცულობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  - ✓ ინტერდისციპლინარული პროგრამის განხორციელების ოცწლიანი გამოცდილება განაპირობებს პროგრამის მიზნების დახვეწას, სასწავლო კურსების და მათი ურთიერთკვეთის რაციონალურ განსაზღვრას.
  - ✓ კურიკულუმის ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივ განვითარებას;
  - ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება, რაც აყალიბებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციურ მიდგომას ხარისხის კულტურის ამაღლებასთან მიმართებაში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის „ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები“ მიზნები მიმართულია ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრის მოსამზადებლად საჭირო ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მისაღწევად ეროვნული კალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად. პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს სპეციალისტი ქიმიური, ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების საფუძვლიანი ცოდნით და მიაღწიოს ეს საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, სამედიცინო და ტექნოლოგიური მიმართულების სასწავლო კურსების ინტეგრირებული სწავლების საფუძველზე. პროგრამა მნიშვნელოვნად ინტერდისციპლინარულია და მოითხოვს ფარმაციის თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებულ კურსებთან საინჟინრო დისციპლინების ინტეგრაციას. პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი საბაკალავრო უმაღლესი განათლებით ქიმიური, ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების მიმართულებით, რომელსაც ექნება მზაობა: მიღებული ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო და საინჟინრო განათლება გამოიყენოს სამკურნალო-პროფილაქტიკური და კოსმეტიკური საშუალებების შემუშავების, წარმოების, მარკეტინგის, ხარისხის უზრუნველყოფისა და ანალიზის მიმართულებით სამუშაოდ; განახორციელოს საქმიანობა მაღალი პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობით; კრიტიკულად გაიაზრონ და შეაფასონ მიღებული ცოდნა და დაგეგმონ სწავლის შემდგომი საჭიროებები. პროგრამის მიზნები მნიშვნელოვნად ეფუძნება 20 წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამების შინაარსს, კერძოდ მოქმედ საბაკალავრო პროგრამას

„ფარმაცევტული პრეპარატების ქიმია და ტექნოლოგია“, აგრეთვე თანამედროვე გამოწვევებს. პროგრამის მიზნების განსაზღვრისას განცხადებულია: „საქართველოში ვითარდება ქიმიური და ფარმაცევტული კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას და ორიენტირებული არიან, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. შესაბამისად პროგრამის მიზნების განსაზღვრა დაეფუძნა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და იმ საერთაშორისო ტენდენციებს, რომლებიც ფარმაცევტული ტექნოლოგიების მიმართულებით არსებობს საერთაშორისო შრომის ბაზარზე. პროგრამის შემუშავება-განახლება დაეფუძნა ასევე დამსაქმებლების მოსაზრებებს.“ ასეთი მტკიცების ცალსახა დადასტურების ან კრიტიკული შეფასების საჭიროებისგან დამოუკიდებლად აკრედიტაციის ვიზიტის მიმდინარეობისას წარმოდგენილი იქნა მოცემული დარგის (ფარმაცევტული, კოსმეტიკური, პარფიუმერული) მიმართულებით ადგილობრივ სანედლეულო ბაზაზე დაფუძნებული სხვადასხვა მასშტაბის წარმოებათა შექმნისა და განვითარების პოტენციალის რეალისტური პერსპექტივა.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. უნივერსიტეტის მრავალმხრივი ტექნოლოგიური სწავლების მისია ეფუძნება მრავალწლიან გამოცდილებას და წარმოდგენილია თანამედროვე სამოქმედო პოლიტიკისა და სტრატეგიული განვითარების გეგმებით. საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში მიმართულება: აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება მოიცავს შემდეგი ამოცანების განხორციელებას: 1.1. აკადემიური პროგრამების მოდერნიზება საგანმანათლებლო სივრცისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; 1.6. თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსების შექმნა, რომლებიც სრულყოფს სასწავლო პროგრამებს უმაღლესი აკადემიური განათლების სხვადასხვა საფეხურებზე; 1.7. კვლევის ინტეგრირება საბაკალავრო და სამაგისტრო განათლებაში.

პროგრამის მიზნების განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო საერთაშორისო გამოცდილება, კერძოდ, ანალოგიურ პროგრამები ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში (კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ლიეტუვა), მიუნხენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (გერმანია), მონფორტის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), ნისის უნივერსიტეტი (სერბეთი).

პროგრამის მიზნები განვითარებადია და ითვალისწინებს უკუკავშირს სწავლების შედეგებისგან. პროგრამის სწავლის მიზნების და შესაბამისი სწავლის შედეგების განსაზღვრაში მონაწილეობდნენ: სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები

და პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებალი ორგანიზაციები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალი. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამა „ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები“ მიზნები გაზიარებულია ყველა დაინტერესებული მხარის მიერ. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, რეალისტურია და მიღწევადი შესაბამისი სასწავლო რესურსების რაციონალური გამოყენების საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; (დანართი 1, 2, 3, 4) • საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია; (დანართი 6-2) • საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილი; (დანართი 6-1) • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტები; (დანართი 7) • პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; (დანართი 8-1) • აწსუ-ს სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა. (დანართი 8-2) https://atsu.edu.ge/images/pdf/ATSU%20internationalization.pdf • აწსუ-ს მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა; www.atsu.edu.ge • აკრედიტაციის ვიზიტისას ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ პროგრამის მიზნების საფუძვლების განსაზღვრისას სასურველია ხაზი გაესვას ადგილობრივი ნედლეულის მნიშვნელობას სპეციალობასთან დაკავშირებული და მონათესავე დარგების საწარმოთა განვითარებისთვის და შესაბამისი პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓ ინტერდისციპლინარული პროგრამის განხორციელების ოცწლიანი გამოცდილება განაპირობებს პროგრამის მიზნების დახვეწას, სასწავლო კურსების და მათი ურთიერთკვეთის რაციონალურ განსაზღვრას.

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას:

  - შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

  - საბაკალავრო პროგრამა „ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს და შინაარსს. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია და ასახავს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას, რაც განსაზღვრულია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერით და მოცემულია სწავლების სფეროს კლასიფიკატორის ქიმიური ინჟინერიისა და პროცესების დეტალურ სფეროში.

  - არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური;

  - სწავლის შედეგები გაზომვადია თვისებრივი და რაოდენობრივი შეფასების სისტემის გამოყენების საშუალებით, რეალისტურობა და მიღწევადობა

განპირობებულია არსებული სასწავლო ბაზის და სხვა რესურსების რაციონალური გამოყენებით.

- შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;

- საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა კურსდამთავრებულთა დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ასევე სწავლის განათლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობებს. მიღწეული კვალიფიკაცია და კომპეტენცია არ ზღუდავს დასაქმების შესაძლებლობას დარგის სპეციფიკით და უზრუნველყოფს მონათესავე დარგებში დასაქმების შესაძლებლობას.

- პროგრამის სწავლის შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებისათვის ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:
  - ანალოგი პროგრამების ანალიზი,
  - შრომის ბაზრის ანალიზი;
  - სწავლის შედეგების კვლევა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვებით;
  - სწავლის შედეგების განხილვა პროგრამაში ჩართულ პერსონალთან და სტუდენტებთან.

- გათვალისწინებულია პროგრამის ანალოგიურ პროგრამები ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში (კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ლიეტუვა), მიუნხენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (გერმანია), მონფორტის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), ნისის უნივერსიტეტი (სერბეთი).

- შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

- შრომის ბაზრის ანალიზი გაკეთდა შემდეგი მონაცემების გათვალისწინებით:
  - ipm-ის მიერ ჩატარებული კვლევა: შრომის ბაზრის მოთხოვნა STEM სპეციალობებზე (2014);
  - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული კვლევა „შრომის ბაზრის მოთხოვნების კომპონენტის კვლევა“ (2015, 2016, 2019);
  - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობის ეფექტიანობის აუდიტის დასკვნას (2016);
  - ქართული სამუშაო ძალის ევროკავშირის ქვეყნებში ცირკულარული მიგრაციის პოტენციალის კვლევა (2018);
  - ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარებული კვლევა: ვაკანსიების მონიტორინგი რეგიონულ შრომის ბაზრებზე (2018);
  - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევა: ქიმიკოსთა დასაქმების ბაზრის კვლევა;
  - აწსუ-ს დაკვეთით შესრულებული შრომის ბაზრის კვლევა-2017,

- პროგრამის შემუშავება-განახლების ფარგლებში ჩატარებული დამსაქმებელთა გამოკითხვა-2019, 2020.
- პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა 2019-2020
- Jobs.ge-ს მონაცემები (2020).

▪ შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა), პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.

- პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული არიან დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები, აკადემიური და დამხმარე პერსონალი. 2019 წელს პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს ჰქონდა შეხვედრები „ავერსის“, „ნეო-ფარმის“ და „გეფას“ ხელმძღვანელებთან, რომლებსაც გააცნეს მოქმედი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებები და შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები. მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდა წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები. კერძოდ, გაძლიერდა კომპეტენციები კოსმეტიკური ტექნოლოგიის მიმართულებით და მეტი აქცენტები გაკეთდა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. შემდეგი გამოკითხვა ჩატარდა განახლებული პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით: PSP, „ავერსი-რაციონალი“, შპს „ნიკო“, „იმპექსი“, „გეფა“), (google drive-ის გამოყენებით). პროგრამის სწავლის შედეგები გაეცნო კურსდამთავრებულებს, მათი მოსაზრებები (ონ-ლაინ გამოკითხვა) გათვალისწინებული იქნა პროგრამის სწავლის შედეგების საბოლოო ფორმირებისას. რეგულარულად ხდებოდა აკადემიური და დამხმარე პერსონალისთვის სწავლის შედეგების გაცნობა სამუშაო შეხვედრების ფორმატით, დეპარტამენტის სხდომებზე, ასევე სტუდენტებისათვის თვითშეფასების ჯგუფთან რეგულარული შეხვედრების გზით.

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს:

▪ პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებალი პერიოდულობით;

- პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება ლოგიკურად და თანმიმდევრულად, შესაბამისი სასწავლო კომპონენტების მიხედვით, სწავლის შედეგების სამი გრადაციის (შესავალი, განმავითარებელი და მაფორმირებელი) გათვალისწინებით.

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგისა და დეტალური სფეროს სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა.

- სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები;

- სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებიდან გამოიყენება სტუდენტის თვითშეფასება, დამსაქმებლის და პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელის შეფასება.
- პირდაპირი შეფასების ფორმებია: შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას.
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები: ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება და ა.შ.

- პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება;

- პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამისათვის შემუშავებულია სწავლის შედეგების მონიტორინგის პრინციპული სქემა, რომლის მიხედვითაც ხდება სწავლის შედეგების

მონაცემების სამიზნე ნიშნულებთან დადარება.

- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს;

- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის ეს მეთოდები შერჩეულია შესაბამისი წამყვანი პედაგოგის მიერ და მისადაგებულია სასწავლო კომპონენტისა და პროგრამის სწავლის შედეგებთან.

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის;

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მუდმივ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის. ამ მიზნით, აკრედიტებული პროგრამის განხორციელების მანძილზე (2011-დღემდე) აწსუ-ს და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები:

  - პერსონალის ტრენინგები;
  - შიდა საუნივერსიტეტო მოხმარების გზამკვლევის შექმნა;
  - ელექტრონული პრეზენტაციებისა და მასალების მიწოდება პერსონალისათვის;
  - სამუშაო შეხვედრები და განხილვები.

2012 წელს უნივერსიტეტში გაიმართა ელექტრონული სწავლების პორტალი Moodle-ს პლატფორმაზე, რომელიც ეტაპობრივად განიცდიდა სახეცვლილებებს სისტემის განვითარებისა და უნივერსიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე. დანერგვის პროცესში უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა, როგორც საქართველოს, ასევე უცხოურ უნივერსიტეტებთან გამოცდილების გაზიარების კუთხით. მათ შორის ნორვეგიული ორგანიზაცია Its Learning, რომლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ლიცენზირებულმა ტრენერმა ქეით სორნმა აწსუ-ს თანამშრომლებისათვის ჩაატარა ინტენსიური ტრენინგი ელექტრონული სასწავლო კურსის შექმნაში. ტრენინგს ესწრებოდა პროგრამის განმახორციელებელი დეპარტამენტის ოთხი თანამშრომელი.

2015 წელს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით დაიგეგმა შეხვედრების ციკლი 10 აქტუალური თემით: 1. საგანმანათლებლო პროგრამები,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები; 2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით; 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის მიზნები და მათი კავშირი სწავლის შედეგებთან; 4. უცხოენოვანი პროგრამები, ერთობლივი პროგრამები, პროგრამების ინტერნაციონალიზაცია; 5. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი, სასწავლო გეგმა, კომპეტენციათა რუქა, სასწავლო კურსის სილაბუსი; 6. საგანმანათლებლო პროგრამის SWOT ანალიზი; 7. სწავლის შედეგები; სწავლების მეთოდები და მათი კავშირი შეფასების სისტემასთან; სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა; 8. სწავლებისა და სწავლის მეთოდები; 9. ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმები და კონტროლი; 10. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებისათვის საჭირო თანმხლები დოკუმენტაცია. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობის შესახებ. ტრენინგებს ესწრებოდა პროგრამის განმახორციელებელი 8 აკადემიური პერსონალი.

2015 წელს კონსულტაციების და ტრეინინგების ცენტრის (CTC) ტრენინგები აწსუ-ს ლექტორებისა და მასწავლებლებისათვის თემატიკით - ზრდასრულთა სწავლების მეთოდები (კურსი გაიარა 30-მდე ლექტორმა და მასწავლებელმა), მათ შორის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა და სპეციალისტმა, რომლებმაც მიღებული გამოცდილება გაუზიარეს პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტრენინგების ციკლი ჩატარდა 2016 წლის ივნისში. ტრენინგების თამატიკა იყო: 1. ხარისხის კულტურა და ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტი პროცესი. 2. ცოდნის მენეჯმენტი აკადემიურ სივრცეში, საუნივერსიტეტო ცოდნის ანალიზი. 3. კურსის მონიტორინგი და ევროპული სტანდარტები. 4. განათლება მდგრადი განვითარებისათვის. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო დეპარტამენტის ხუთმა აკადემიურმა პერსონალმა.

- სასურველია, სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდებოდეს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ;

  - სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება თითოეული სასწავლო კომპონენტის მიხედვით და უზრუნველყოფილია შეფასება რამდენიმე შემფასებლის მიერ. შეფასების პროცესში ჩართულია, როგორც ლექციის

წამყვალი პროფესორი, ისე პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების განმახორციელებელი პერსონალი. ამავე პერსონალის მიერ ხორციელდება სტუდენტებისათვის შესაბამისი უკუკავშირი: სტუდენტებს განემარტებათ თითოეული შეფასება და ამ შეფასების გაუმჯობესების გზები. ▪ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. 2016 წელს შემუშავდა გზამკვლევი, რომელშიც წარმოდგენილია სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზნები და ფორმები; განხილულია შეფასების სხვადასხვა მეთოდები და კრიტერიუმები, წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი" (2016.29.01 და 2016.18.08 ცვლილებების გათვალისწინებით), მოცემულია რეკომენდაციები სტუდენტთა პერსონალური განვითარების თვითშეფასების შესახებ და გაანალიზებულია უკუკავშირის, როგორც წარმატების მიღწევის მექანიზმის მნიშვნელობა. ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად: ▪ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას. 2019-2020 წლებში მიმდინარეობდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინტენსიური სამუშაო შეხვედრები სწავლის შედეგების ჩამოყალიბების, შესაბამისი გაზომვისა და შეფასების საკითხებზე, რაც ასევე განპირობებული იყო განახლებული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სფეროების კლასიფიკატორით. პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი გაკეთდა მოქმედი პროგრამის შემთხვევაში. შედეგად შეიცვალა როგორც წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები, ისე პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. პრაქტიკული და ლაბორატორიული კომპონენტების გაძლიერებამ, პროგრამა უფრო მეტად ორიენტირებული გახადა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა; (დანართი 1÷4)
- კურიკულუმის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულები; (დანართი 3)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტები; (დანართი 7)
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; (დანართი 9-1)
- https://www.facebook.com/CHET.ATSU/posts/1287170601630221
- https://www.facebook.com/CHET.ATSU/posts/1271489903198291
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის				

მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების პროგრამა შემუშავდა 2011 წლიდან. პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება 4 წლით და ითვალისწინებს 240 კრედიტის ათვისებას. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნასთან. კერძოდ, ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხებიან სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52). უნივერსიტეტში შემუშავებულია გარე და შიდა მობილობა ხორციელდება წელიწადში ერთჯერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურების შედეგად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ფარმაცევტული და კოსმეტიკური

ტექნოლოგიების პროგრამა;

- აწსუ-ს ოფიციალური ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების პროგრამა შემუშავდა 2011 წლიდან. პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი საბაკალავრო უმაღლესი განათლებით ქიმიური, ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების მიმართულებით პროგრამის ხანგრძლივობა

განისაზღვრება 4 წლით და ითვალისწინებს 240 კრედიტის ათვისებას. (ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები - 154 კრედიტი,მათ შორის: სავალდებულო - 146 კრედიტი; არჩევითი - 8 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტები - 26 კრედიტი,მათ შორის: სავალდებულო - 15 კრედიტი; არჩევითი - 11 კრედიტი; დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი) და კომპლექსური საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის შემუშავებაზე, განვითარებაზე და პროგრამის ყველა კომპონენტის ეფექტური მიმდინარეობის უზრუნველყოფაზე. პროგრამის ხელმძღვანელი განმახორციელებელ პერსონალთან ერთად მუდმივად მსჯელობს პროგრამისა და კურიკულუმის განვითარებაზე, სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ახალი სასწავლო კურსების დანერგვაზე დარგის თანამედროვე და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით.

საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში გამოყენებულია სწავლის შედეგების მიღწევის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები, კერძოდ: გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსია (სალექციო მეცადინეობებისათვის; ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დისკუსია, ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი (პრაქტიკული მეცადინეობებისათვის).

ზოგიერთ შემთხვევაში სილაბუსის სათაურსა და შინაარს (თემატიკას) შორის შესაბამისობაში, ყურადღება მისაქცევია/სასურველია შინაარსის მორგება სათაურთან ან პირიქით. მაგ: არჩევით საგანში: მენეჯმენტის და მარკეტინგის საფუძვლები (ფარმაკოეკონომიკა) სხვადასხვა შინაარსობრივი დისციპლინებია და სასურველია გაიმიჯნოს; სოციალური ფარმაციის სილაბუსში მოყვანილი ზოგიერთი სასწავლო საკითხი არ შეესაბამება სილაბუსის სათაურს (მაგ: კლინიკური ფარმაცია და კლინიკის ფარმაცევტის ფუნქციები, ფარმაცევტული ინფორმაცია. ინფორმაციის სახეები, მარკეტინგის საკითხები და სხვა).

სასურველია საგანი: ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია - საგნის სახელწოდება მოდიფიცირდეს და იმგვარად შეიცვალოს, რომ ნათლად ჩანდეს ორივე საგნის სწავლების (მაგ: ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია ან ადამიანის ანატომია ფიზიოლოგიით).

პროგრამის სახელწოდებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, სასურველი იქნება სასწავლო ფარმაცევტული დისციპლინების დასახელების შეცვლა,

რათა გაიმიჯნოს ფარმაციის საბაკალავრო პროგრამებში არსებული საგნების ჩამონათვალისგან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო კურსების სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სასურველია დარგობრივი უცხო ენის სწავლების გაღრმავება. ✓ პროგრამის სახელწოდებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, სასურველია სასწავლო ფარმაცევტული დისციპლინების დასახელების ცვლილება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა

შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების პროგრამის სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა ზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ითვალისწინებს სწავლა-სწავლების შესაბამის მეთოდებს (ლექცია, პრაქტიკუმი, სემინარი, ლაბორატორიული სამუშაო და სხვა),რომელიც შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც განსხვავებულია სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და აღწერილია სილაბუსში.

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, კონფიდენციალობის დაცვით, სადაც ისინი გამოხატავენ აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებასთან დაკავშირებით საკუთარ დამოკიდებულებას. დაფიქსირდა შედეგების გაუმჯობესების ტენდენცია. გათვალისწინებულ იქნა სტუდენტთა მოსაზრებები.

სწავლის პროცესში გამოიყენება: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დისკუსია, ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი.

სილაბუსში მითითებულია სწავლების არსებული მეთოდების დიდი ჩამონათვალი, რაც ბადებს კითხვას რამდენად ხდება სწავლის დროს ყველა ამ მეთოდის გამოყენება და როგორი თანმიმდევრობით.

აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუირებით გამოიკვეთა რომ შეფასების ყველა მეთოდი გამოიყენება წარმატებით და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლა ეფუძნება თეორიული და პრაქტიკულ–ლაბორატორიული

მეცადინეობების თანმიმდევრულ და უწყვეტ ციკლს. თეორიული სწავლება ძირითადად მიმდინარეობს ლექციებით, გათვალისწინებული ჯგუფური მუშაობა და სემინარული მეცადინეობებით. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი სასწავლო ლიტერატურით ქართულ ენაზე, ასევე, დამატებითი ლიტერატურით, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. სასწავლო ლიტერატურა განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს საჭირო ბეჭდურ და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს; ელექტრონული სალექციო მასალით სტუდენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსის ან/და პროგრამის ხელმძღვანელი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი, რომელიც იძლევა პროფესიული ინტერნეტ–საიტების გაცნობის, მიმოხილვის და ანალიზის შესაძლებლობას ყველა დაინტერესებული სტუდენტისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სასურველია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას, რაც შეესაბამება სწავლების პირველ საფეხურს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სტუდენტები ეუფლებიან: ფუნდამენტური დისციპლინების შესწავლისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარებს; სამეცნიერო წყაროების მეცნიერული კეთილსინდისიერებით გამოყენებას, პრაქტიკული/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე მიღებული შედეგების სწორ ინტერპრეტაციას და საკვანძო საკითხებთან მიმართებაში საკუთარი პოზიციის დაცვას. ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები (აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით). ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები მეტნაკლებად არიან ჩართული სამეცნიერო კონფერენციებში და პრაქტიკულ სამუშაოებში, რაც მეტად შეუწყობდა ხელს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას. ამასთან სტუდენტის ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებში აამაღლებს მათ ინტერესს მეცნიერებისადმი. გაცვლითი პროგრამების არსებობა და სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის

ჩართულობა მეტად ხელს შეუწყობს ხარისხიანი სწავლა-სწავლების პროცესის უზრუნველყოფას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან; • ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ✓ რეკომენდებულია აქცენტი გაკეთდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერებაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლების მეთოდები შეესაბამება თანამედროვე მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე, რომლებიც მიიღწევა ინტერაქტიული სწავლებით. ის მიზნად ისახავს პედაგოგზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. სტუდენტი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა. სწავლების პროცესში სტუდენტთა ინტერესები და მოთხოვნილებები მაქსიმალურადაა გათვალისწინებული, რათა მათ შეძლონ ფაქტების, მოვლენების, ცნებების ანალიზი და ინტერპრეტაცია. ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსის, ცალკეული კომპონენტის განსახორციელებლად სწავლა/სწავლების სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, პრაქტიკა და სხვ. სასწავლო კურსის ხელმძღვანელი (აკადემიური თავისუფლების პირობებში), აქცენტს აკეთებს სწავლების იმ მეთოდებზე, რომლებიც კურსის შინაარსიდან გამომდინარე, სრულად უზრუნველყოფს სილაბუსში აღწერილ სწავლის შედეგებზე გასვლას. სწავლების მეთოდის ეფექტურობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ძალზედ რთული სალექციო მასალის სრულფასოვნად აღქმა და ინტენსიურ ინფორმაციულ ნაკადში პრიორიტეტების განსაზღვრა. აწსუ-ში შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სტუდენტის სწავლებას ინდივიდური განრიგით, სასწავლო პროგრამის განხორციელების პერიოდში უწევს მათ დახმარებას კონსულტაციების სახით
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები;

- ინტერვიუს შედეგები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით

გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007) ბრძანებით და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული პრინციპებით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
(C) კარგი – 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:
ა) შუალედურ შეფასებას;
ბ) დასკვნით შეფასებას.

დასკვნითი გამოცდა არ ფასდება 40 ქულაზე მეტით.

შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას; დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი შეადგენს 15 ქულას.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

პროგრამის სასწავლო კომპონენტებში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები და ზღვრული ქულები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

სტუდენტებთან ინტერვიუეს დროს გამოიკვეთა, რომ მოქნილი ელ. სააპელაციო სისტემა წარმატებით მუშაობს და შეფასების ქულებთან მიმართებაში უკმაყოფილება არ არსებობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცევტული და კოსმეტიკური

ტექნოლოგიები“. - სასწავლო კურსის სილაბუსები; - ნტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებთან საკონსულტაციო მომსახურების შესახებ უნივერსიტეტს გააჩნია წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკა, რომელიც რომელიც ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობას სასწავლო პროცესების მიმდინარეობის და აკადემიური მიღწევების შესახებ. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო კურსების შერჩევაში და მათი თანმიმდევრობის განსაზღვრაში. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს რომ შეკითხვებზე პასუხის მიღება მათ შეუძლიათ კურატორებისა და ტუტორების დახმარებით, სხვადასხვა სამეცნიერო და სპორტულ/კულტურული ღონისძიებების ჩათვლით. პანდემიის დაწყებისას უნივერსიტეტის მიერ კარგად იყო ორგანიზებული ონლაინ სწავლებისათვის საჭირო ყველა საშუალებები რაც დასტურდება დოკუმენტაციით და ინტერვიუების შედეგად. სტუდენტებისათვის გამოყოფილია დამატებითი საკონსულტაციო საათები, რომელიც მითითებულია სილაბუსებში, ელექტრონულ პორტალზე და ასევე, თვალსაჩინოდ სტენდებზე. სტუდენტები ძირითადად იღებენ ინფორმაციას უნივერესიტეტის მიერ დაგეგმილი სხვადასხვა სამეცნიორო აქტივობების შესახებ, თუმცა საერთაშორისო პროექტებში მათი ჩართულობა ნაკლებია. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტების კარიერული სამსახური, რომლის მიზანია შრომის ბაზარზრის მონიტორინგი, პოტენციურ დამსაქმებლებთან მუდმივი კომუნიკაცია მომავალში კურსდამთავრებულების პროფიკურად დასაქმების მიზნით, სპეციალური ტრენინგების უზრუნველყოფა და ა.შ. თუმცა ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სტუდენტების ნაკლები ინფორმირებულობა უნივერსიტეტის მიერ მათი პროფილურად დასაქმების სათანადო კონსულტაციების შესახებ.

ბიბლიოთეკის რესურსებზე სტუდენტებს გააჩნიათ თავისუფალი წვდომა მათ შორის ელექტრონული.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში და სამეცნიერო აქტივობებში მიიღონ მონაწილეობა. უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით ასევე ტარდება "სამეცნიერო პიკნიკები".

პრაქტიკულ საქმინობაში მეტი ჩართულობის მიზნით სტუდენტებს აქვთ სხვადასხვა დაწესებულებებში სტაჟირების საშუალება. დოკუმენტაციიდან და ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა რომ აღნიშნული მიმდინარეიბს ძირითადად საქართველოში არსებულ სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში.

სხვადასხვა გაცვლითი პროგრამის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით, ასევე სტუდენტთა კარიერული სამსახურის დახმარებით. თუმცა ინტერვიუების და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად სტუდენტების ჩართულობა ნაკლები იყო პანდემიის დაწყებამდე, ხოლო ამჟმადა ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, პროცესი შეჩერებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 23;
- დანართი 19;
- https://atsu.edu.ge/
- ინტერვიუები აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

✓ სასურველი იქნებოდა მომავალში სტუდენტების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილების მისაღებად, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ▪ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო

რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და აწსუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან; აკადემიური პერსონალის არჩევა ხდება ღია კონკურსის წესით. ინფორმაცია კონკურსის შესახებ ქვეყნდება აწსუს ოფიციალურ ვებ. გვერდზე, კონკურსი ცხადდება პროგრამის მიმართულებების შესაბამისად და ეყრდნობა პერსონალის სამეცნიერო კვალიფიკაციას, სამეცნიერო შრომების შესაბამისობას ვაკანსიის პროფილთან, კონკურსანტის მუშაობის გამოცდილებას ვაკანსიის პროფილის მიმართულებით. ბოლო 10 წლის სამეცნიერო კვლევებსა და საგრანტო პროექტებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონკურსანტის პედაგოგიურ გამოცდილებას, პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილ სილაბუსებს, პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციას. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. პროგრამაში ჩართულია 3 პროფესორი. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 ასოცირებული პროფესორი. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით. პროგრამაში ჩართულია 1 ასისტენტ-პროფესორი. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ასევე მოიწვიოს სპეციალისტები შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და მათი კომპეტენციის, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით ჩართოს სასწავლო პროცესში. პროგრამაში ჩართულია 23 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში;

აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სწავლების უნარების და შედეგების გარდა დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება აკადემიური პესონალის დატვირთვის სპეციალური, ინდივიდუალური გეგმა, რომელიც ფორმდება ელექტრონულად და წარმოადგენს განახლებად დოკუმენტს საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრების შესაბამისად. აღნიშნული გეგმები დგება და მისი განხილვა ხდება პროგრამის განმახორციელებელ დეპარტამენტში. აკადემიური და მოწვეული პერსონალი 2011 წლიდან გადის ტრენინგებს, სტაჟირებებს და მონაწილეობას იღებს სემინარებსა და კონფერენციებში. 2019 წელს ჩატარდა ასოცირებული პროფესორების ატესტაცია. 2020 წლიდან დაინერგა ონლაინ-შეხვედრებისა და ონლაინ-კონფერენციების პრაქტიკა. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები, პუბლიკაციები, განხორციელებული აქვს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები, აქტიურ მონაწილეობას იღებს სემინარებში, ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, ხელმძღვანელობს სადოქტორო დისერტაციებს, არის რამოდენიმე საერთაშორისო სასწავლო პროექტის კოორდინატორი და ძირითადი შემსრულებელი. აწსუ-ს მართვის ორგანოების, ფაკულტეტის მართვის ორგანოების, აუდიტორიების, ლაბორატორიების, კომპიუტერული ცენტრების დამხმარე პერონალს გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია. მაღალი კომპეტენციითა და უნარებით გამოირჩევა ბიბლიოთეკის დირექტორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სასწავლო კურსების მიხედვით; (დანართი 4) • პროგრამის ხელმძღვანელის პერსონალური ინფორმაცია; (დანართი 12 (1)) • პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები; (დანართი 11); • პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პერსონალური ინფორმაცია;

(დანართი 12)

- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის თანამდებობრივი ინსტრუქციები; (დანართი 19-3)
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; (დანართი 19-4)
- აკადემიური კონკურსის კრიტერიუმები; (დანართი 19-6)
- ინფორმაციები კონკურსის გამოცხადების და ატესტაციის შესახებ; (დანართი 19-7, 19-8, 19-9)
- https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabchodadgenilebebi?task=document.viewdoc&id=843
- კურატორის უფლება-მოვალეობები; (დანართი 19-2)
- პერსონალის დატვირთვის განსაზღვრა-შესრულება; (დანართი 19-5)
- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილი; (დანართი 6-1)
- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის კვლევითი პროფილი; (დანართი 6-3)
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სასურველია პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისათვის იმავე უნივერსიტეტის მონათესავე ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა სწავლების პროცესში, განსაკუთრებით ფარმაცევტული ტექნოლოგიების პირდაპირი პროფილის საგნების აკადემიური პერსონალისა.
- ✓ სასურველია საქართველოს დარგობრივი პროფილის ინსტიტუციების აკადემიური პერსონალის მონაწილეობა სასწავლო პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ რეგულარულად აწარმოებს და აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს და აანალიზებს ამ შედეგებს;
აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კველვითი საქმიანობის შეფასებას;
შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის;
შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისას.
ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ პროცესებში ასევე ჩართული არიან საბაკალავრო პროგრამის "ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები"-ს სტუდენტები. სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი კეთდება სემესტრულად, ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელს, დეპარტამენტებს და თავად პერსონალს. ამ ანალიზის შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის კვალიფიკაციის პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის შეფასებისას.
აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები;
გარდა აუდიტორიული მუშაობისა (ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, დოქტორანტის ხელმძღვანელობა), ხორციელდება სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა (კონსულტაცია); ტესტების მომზადება, გამოცდების ჩატარება და სტუდენტის შეფასება. დეპარტამენტის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანე-ლობა; მაგისტრანტის ხელმძღვანელობა; დოქტორანტის ხელმძღვანელობა (არანაკლებ 65 სთ ერთ დოქტორანტზე); სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელობა; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა; სასწავლო, საწარმოო, პედაგოგიური, პროფესიული, საველე და სხვა ტიპის პრაქტიკის ხელმძღვანელობა და ჩატარება, კურატორობა-ტუტორობა;

უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები, და სხვა) პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი ჩართულია სახვადასხვა საერთაშორისო პროექტებში. პროგრამის განვითარებაში მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები. მათ შორის: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები. ინტერვიუს პერიოდში გამოვლინდა რომ აღნიშნულ გრანტებში ხშირად ჩართულია აკადემიური პერსონალის მთლიანი გუნდი და იგრძნობა უნივერსიტეტის მმართველი ადმინისტრაციული რგოლის მხარდაჭერა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილი; (დანართი 6-1) • საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის კვლევითი პროფილი; (დანართი 6-3) • საინჟინრო–ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხუს–ის ანგარიშები; (დანართი 20) • ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა; (დანართი 18-2) • https://atsu.edu.ge/index.php/news/1561-treningi-erovnuli-kvalifikaciebis-charcho?fbclid=IwAR2kfR0-wYL_--aV5LN3wX9p4JBUxa_L6g3cUs5O0rLosko_46rSPd38Llo • პროგრამის ხელმძღვანელის პერსონალური ინფორმაცია; დანართი 12 (1) • პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პერსონალური ინფორმაცია; დანართი 12 • უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისადმი წაყენებული მოთხოვნები; (დანართი 23-1) • აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესახებ ინფორმაცია. (დანართი 17-9, 17-10, 17-11, 17-12, 17-13) • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სასურველია სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა მსგავსი პროფილის უცხოურ სასწავლებლებთან თანამშრომლობით. ✓ სასურველია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობის გააქტიურება საერთაშორისო პროექტებში, კველევებსა და კონფერენციებში, მათ შორის გრანტების მოძიების კუთხით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; სტუდენტებს ემსახურებათ თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის სერვისს როგორც ადგილზე ვიზიტის დროს, აგრეთვე ელექტრონულად. აწსუ-ს ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების ინვენტარით, ლიტერატურით და უახლესი პროგრამული უზრუნველყოფის სერვისებით. მორგებულია შშმ პირების შესაძლებლობებზე. შეიცავს სივრცეებს სტუდენტთა

განვითარების, მათი საზოგადოებრივი და სოციალური აქტივობების, სწავლის მიზნებისა და სწავლების სრულფასოვანი შედეგების მისაღწევად. სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო მიღწევებსა და გამოწვევებს. შექმნილია ჯანსაღი, თბილი გარემო, რომელიც დიდი მოტივაციაა თანამედროვე სტუდენტისათვის. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ლიტერატურას და წიგნების ელექტრონულ ანალოგებს. აგრეთვე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია მაღალრეიტინგული ჟურნალების ელექტრონული ვერსიები.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

სტუდენტებისათვის დანერგილია ლიტერატურის წინასწარი დაჯავშნის სისტემა, როგორც ადგილზე არსებული სამკითხველო სივრცეების, ისე ელექტრონული ვერსიების სახით, რაც ზოგავს მათ დროს და უქმნის კომფორტულ გარემოს.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ–კატალოგის (OPAC) სერვისი; ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ასევე ელექტრონულ ბაზებზე; http://search.epnet.com/; http://journals.cambridge.org/ Cambridge university press. Elgaronline, Royal Society Publishing; Sage Journals; ScienceDirect; BioOne research evolved; IMF Elibrary, Scopus, eDuke Journals Scholarly Collections და სხვ მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის;

პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევას. სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები ძირითადად აღჭურვილია შესაბამისი ხელსაწყოებით, დანადგარებით, ინვენტარით, სახარჯი მასალებით, რაც სტუდენტებს უადვილებს სასწავლო პროცესს.

ინტერვიუს პერიოდში გამოვლინდა, რომ სტუდენტები ინფორმირებული არიან უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ. მათ უტარდებათ ინსტრუქტაჟი და ტრენინგები ხელსაწყოების მოხმარების წესებსა და შრომის უსაფრთხოებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა; (დანართი 1-4)
- ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტის სააუდიტორიო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა, რომელიც აღწერილია ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროფილებში; (დანართი 6-3)
- უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სერვისები - https://library.atsu.edu.ge/
- პროგრამის თვითშეფასებება 2011-2017; (დანართი 18-1)
- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესური;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ვიზიტის დროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

✓ სასურველია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსების და განახლების პროცესი მიმდინარეობდეს უწყვეტად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული და დამხმარე პერსონალის ხელფასებს, ინფრასტრუქტურის განახლების ხარჯებს, სტიპენდიას, კომუნალური, საგადასახადო ვალდებულებების, რისკების დაზღვევის და სხვა ტიპის ხარჯებს. ცალკე არის გამოყოფილი სასწავლო/კვლევითი და პრაქტიკის კომპონენტები. ასევე ის აქტივობებიც, რომელსაც საბაკალავრო პროგრამა ახორციელებს. ბიუჯეტში არ არის სრულად გაწერილი შემოსავლების ნაწილი და ბუნდოვანია ხარჯების დაწვრილებითი აღწერა. ასევე არ ჩანს მოქმედების მექანიზმი დეფიციტური ბიუჯეტის არსებობის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რიცხვი ბოლო 5 წლის განმავლობაში იკლებს და ფაქტიურად ბიუჯეტი არის დეფიციტური. ინტერვიუების დროს, პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნული ტენდენცია ახსნეს იმით, რომ პროგრამა არ არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებადი სპეციალობების ნუსხაში, ასევე ერთერთი მიზეზი გახდა ეროვნული გამოცდებში აუცილებელ დისციპლინად მათემატიკის დამატება. ინტერვიუებისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და პროგრამის ხელმძღვანელმა ცალსახად დაადასტურეს პროგრამის მნიშვნელობა და მისი ფინანსური მხარდაჭერის მზაობა. დაწესებულებისთვის პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აწსუ წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №175 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო; • უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ; (დანართი 21) • პროგრამის ხარჯის გაანგარიშება; (დანართი 21-1) • გასაუბრება ადმინისტრაციასთან; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:

✓ რეკომენდირებულია გეგმაზომიერი აქტივობების შემუშავება დეფიციტური ბიუჯეტის აღმოსაფხვრელად, შემოსავლების გაზრდის მიზნით საჭიროა პროგრამის მეტი პოპულარიზაცია საზოგადოებასთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სასურველია პროგრამის ბიუჯეტში დეტალურად იყოს გაწერილი განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული/მატერიალური დანახარჯების მოცულობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ყოველდღიური ქმედება უშუალო კავშირშია ინსტიტუციის ფარგლებში ხარისხის კულტურის ეტაპობრივად და სიღრმისეულად გავრცელებასა და დანერგვაში, ახალი გზების დასახვასა და წინამდებარე პროცესში განახლებული მეთოდოლოგიისა და პროცესების დანერგვაში. ის ვრცელდება არამხოლოდ სწავლა-სწავლებისა და კვლევის, არამედ ინსტიტუციური სერვისებისა და მისი მართვის ცალკეულ დეტალებში. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის არსის ფორმირების მიზნით შემუშავებული აქვს პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც თავის მხრივ ფუნდამენტურ სახელმძღვანელო პრინციპებს აყალიბებს, რომლის მეშვეობით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედ ნებისმიერ რგოლს წარმატებით შეუძლია გაიაზროს საკუთარი მისია, ქმედების არეალი და იზრუნოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის კულტურის მიახლოებაზე კიდევ უფრო მაღალ თამასასთან. ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტის ამოსავალი სამ მიმართულებად ინსტიტუციას ესახება *საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნვლყოფის, კვლევის განვითარებისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა.* თითოეული მიმართულება განჭვრეტილია საერთაშორისო სტანდარტების რაკურსში და დასახულია კონკრეტული პროცედურები წინამდებარე მიმართულებების სტანდარტიზაციისთვის. დოკუმენტში აღწერილი პროცედურები ძირეულად გათვლილია შიდა ხარისხის განვითარებაზე საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რაც ცალსახად წინაპირობა, მოსამზადებელი და წინმსწრები საფეხურია გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცების მოსამზადებლად, რომელშიც არსებით როლს თამაშობს უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალი, მასთან სტუდენტები და ყველა სხვა დაინტერესებული პირი. წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის, აკრედიტაციის ვიზიტისას შემდგარი ინტერვიუებისა და ფაქტობრივი სიტუაციის გაცნობის შემდგომ ნათელი გახდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და

ასევე პროგრამით დაინტერესებული პირები განსხვავებულად, თუმც ინტენსიურად თანამშრომლობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რაც კონკრეტულად გამოვლინდა შემდეგ დეტალებში:

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასა და განახლებას თვალყურს ადევნებს ერთი მხრივ „კურიკულუმის კომიტეტი“, რომელიც თვითშეფასების ჯგუფის ანალიზის საფუძველზე ამზადებს პროგრამის განახლებულ პაკეტს და მართავს საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების პროცესებს;

მოქმედი რეგულაციების, დოკუმენტებისა და პროცესების მაღალი ცნობადობა;

აქტივობა და ფუნქციური ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესებში;

აკადემიური პერსონალის ცალკეულ წარმომადგენელთა, როგორც განათლების სფეროს ექსპერტების, მაღალი კომპეტენცია და მათი აქტიური ჩართულობა შიდა ხარისხის შეფასების პროცესებში (რაც განსაკუთრებით აქტიურია 2018 წლიდან);

სტუდენტთა სტაჟირებისა და მათი ექსპერტული ჩართულობის რამდენიმე წლიანი გამოცდილება საგანმანათლებლო პროგრამების შიდაშეფასების პროცესებში;

პროგრამის შიდა შეფასების კონკრეტული ფორმების გააქტიურება (სტუდენტთა გამოკითხვები, აკადემიური მოსწრების ანალიზი, ურთიერთდასწრების მექანიზმის ამოქმედება, საგანმანათლებლო პროგრამის დაინტერესებული პირების გამოკითხვა და ანალიზი);

კოლეგიური დასწრების მექანიზმის დანერგვა და გააქტიურება სასწავლო პროცესში, რომლის მიზანია ინსტიტუციის ფარგლებში საუკეთესო გამოცდილების გაზიარება;

დეტალიზებული, რაოდენობრივ მონაცემებზე ორიენტირებული საგანამანათლებლო პროგრამის თვითშეფასების საერთო საუნივერსიტეტო ფორმულარი, რომლის ანალიზი საშუალებას იძლევა დანახულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების დინამიკა;

საგანმანათლებლო პროგრამის SWOT ანალიზი.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის ჩართულობა შიდა შეფასების პროცესში თვალნათლივ მაღალია, ვინაიდან დღიდან საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირებისა, ის ჩამოყალიბებისა და განვითარების, ხოლო შემდგომ თვითშეფასების პროცესში, კონკრეტული დეპარტამენტისა და ადმინისტრაციის ფარგლებში შერჩეული საინიციატივო ჯგუფის აქტიური ჩართულობით გადის სხვადასხვა ფაზას (თვითშეფასების, მონიტორინგის). საგანმანათლებლო პროგრამის ცნობადობა მაღალია

დამსაქმებელთა და სტუდენტთა შორისაც. წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის თავდაპირველად შემუშავებაში, ხოლო შემდგომში კოლეგიური შეფასების პროცესში ჩართული იყო განათლების ქართველი და უცხოელი (პარნიორი უნივერსიტეტიდან) ექსპერტები;

რაც შეეხება უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების პროცესს, მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ამ პროცესისადმი ერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური მიდგომა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობას იღებს არამოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პირები, არამედ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ჯგუფების შერჩევა ხდება არა კონკრეტულად სტანდარტების, არამედ აკრედიტაციის სტანდარტის ცალკეული კომპონენტების შესაბამისად. აქედან გამომდინარე თვითშეფასების ანგარიში დეტალურად ასახავს და განიხილავს აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ყოველ დეტალს. აკრედიტაციის სტანდარტების აღწერილობით ნაწილს ერთვის სკურპულოზურად შედგენილი მტკიცებულებითი ნაწილი შესაბამისი მასალებით.

ასევე აღსანიშნავის, რომ რეაკრედიტაციის პროცესისთვის მზადება საგანმანათლებლო პროგრამამ დაიწყო დღიდან უკანასკნელი აკრედიტაციის (2011 წ.), იმდენად რამდენადაც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის გარეშეფასების პროცესში ექსპერტთა დასკვნამ შეასრულა ერთგვარად განმავითარებელი პროცესებისათვის მოსამზადებელი საფეხური, რასაც ეტაპობრივად მოჰყვა ცალკეული განმავითარებელი შიდა და გარე კოლეგიალური შეფასების პროცესები, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც განათლების, ისე დარგის ექსპერტები.

სხვადასვა ეტაპზე პროგრამის მიმართ განხორციელებული ხარისხის შიდა შეფასება, რომელიც ემყარებოდა პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" მნიშვნელოვანი ნიშნული იყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და დაინტერესებული პირებისათვის, რომლთა მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე პროგრამამ არაერთი არსებითი ცვლილება განიცადა. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ცვლილებები დაეფუძნა შეფასების შედეგად გამოთქმულ განმავითარებელ რეკომენდაციებს (მაგ., დამსაქმებლების რეკომენდაცით შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამის სათაური, სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგად დაკორექტირდა კრედიტმოცულობები ცალკეული სასწავლო დისციპლინისათვის;

აკადემიური პერსონალის ინიცირებით პერიოდულად ხორციელდება სასწავლო მასალის განახლება-გადამუშავება; შეფასდა ცალკეული სასწავლო კურსები, რომლის საფუძველზე მოდა მათი განახლება აკრედიტაციის ახალი სტანდარტების შესაბაისად. შესაბამისად, მე-5 სტანდარტის წინამდებარე კომპონენტში როგორც დოკუმენტურმა მასალამ, ისე სხვადასხვა თემატურ ჯგუფებთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და არსებული ფაქტობრივი ვითარების შეფასებამ, რეალურად საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ და დაინტერესებულ პირთა მაღალი ჩართულობა აჩვენა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში 2020; • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასებები 2011-2017 (დანართი 18-1); • უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ანგარიშები (დანართი 20); • დარგობრივი დეპარტამენტის სხდომის ოქმები (დანართი 22); • გამოკითხვების პაკეტი (დანართი 9); • „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018 (დანართი 16); • ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან, დამსაქმებლებთან; • ფაქტობრივი მდგომარეობა.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓ კურიკულუმის ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივ განვითარებას; ✓ ხარისიხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება, რაც აყალიბებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციურ მიდგომას ხარისხის კულტურის ამაღლებასთან მიმართებაში.
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტზე თანდართული თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის გაცნობამ საშუალება მოგვცა ქრონოლოგიურად აღგვედგინა ყველა ის პროცესი და მისი შემადგენელი პროცედურა, რომლის საფუძველზე მომზადდა სააკრედიტაციო განაცხადი. მოცემული მასალის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასება (აკრედიტაცია, ავტორიზაცია, ყველა ტიპის ექსპერტირება), ერთი მხრივ, წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლისათვის, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენს მართებულად წარმართული ხარისხის შიდა შეფასების რეალურ პროდუქტს. ამას გარდა, ხარისხის გარე შეფასება ერთგვარია სტიმულია ეფექტიანი ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმების, მეთოდოლოგიისა და პროცედურების ჩამოყალიბებისათვის.

წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამამ (რომელიც უნივერსიტეტში 1999 წლიდან ფუნქციონირებს, თუმცა არა დღევანდელი ფორმით) პირველი სრულფორმატიანი აკრედიტაცია გაიარა 2011. გარეშეფასების დასკვნის გაცნობის შემდგომ დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებლების მიერ ფაქტობრივად არაერთი ცვლილება განხორციელდა, მათ შორის: *სასწავლო კურსების სახელწოდებების კორექცია, ცალკეულ სასწავლო კურსებში სასწავლო მეთოდოლოგიის მოდიფივირება (გაიზარდა პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების წილი სასწავლო კურსის ფარგლებში), სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურის გაფართოება და მოდერნიზაცია.*

ხარისხის გარეშეფასების შემდგომ და მისი მექანიზმების შესწავლის საფუძველზე ინსტიტუციის მიერ შემუშავდა და გაიწერა ხარისხის შიდა შეფასების პროცედურები და შესაბამისად ეტაპობრივად (ყოველწლიურად, ჯამში - შვიდგზის) დაიგეგმა და განხორციელდა შიდა შეფასების პროცედურა, რათა საგანმანათლებლო პროგრამის

განმახორციელებელი პირები დაკვირვებოდნენ კურიკულუმის განვითარების სურათს. ზემოხსენებული ციკლის შედეგად გამოიკვეთა კონკრეტული სურათი, რომელიც საფუძვლად დაედო 2019 წლიდან რეაკრედიტაციის პროცესისთვის მზადებას.

საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დაფარვის მიზნით ინსტიტუციამ ასევე მიმართა ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობისა და ერთობლივი კვლევებში თანამონაწილე უცხოური უნივერსიტეტის დარგის ექსპერტებს (კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ლიეტუვა), ლინეუსის უნივერსიტეტი (შვედეთი), შესაბამისად, მიღებული იქნა კოლეგიური რეკომენდაციები და საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი რჩევები. სუსურველი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სპექტრის ამ მიმართულებით მიზანმიმართულად გამრავალფეროვნებად.

ასევე უნდა გამოიკვეთოს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 და 2017 წლებში ჩატარებული საერთაშორისო კონფერნეციები ***უმაღლესი განათლება - ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები***, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ უმაღლესი განათლების როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები. წინამდებარე კონფერენციები საშუალებას აძლევდა არამარტო ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებს, არამედ კონფერენციაში მონაწილე პირებს დებატების ფორმატში გაცნობოდნენ *გლობალური საკითხებსა და თანამედროვე გამოწვევებს განათლებაში*, ემსჯელათ *განათლების ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ასპექტებზე*, ასევე *განეხილათ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკითხები*. კონფერენციის ფორმატი იძლეოდა იმის საშუალებას წარმოდგენილ- და განხილულიყო ცალკეული დაგეგმილი პროექტები, მაგალითად როგორიცაა ინტერნაციონალიზაციისა და მულტიკულტურული პროექტები საგანმანათლებლო სივრცეში; ასევე მსჯელობის საგანი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა სასწავლო პროცესისა და კვლევების ინტეგრაცია, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები სწავლა – სწავლების – კვლევის პროცესში. მიგვაჩნია, რომ მსგავსი ფორუმები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა საგანმანათლებლო სივრცეში დაპროეცრებული ან დაგეგმილი ცალკეული სიახლეების ხარისხის გამძლეობაზე საჯარო და მრავალპროფილიანი შეფასებისათვის .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში 2020;
- უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ანგარიშები (დანართი 20);
- საქართველო პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დასკვნა;

- საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „უმაღლესი განათლება - ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები“ – HENTI 2015 და HENTI 2017·ინფორაცია დაარქივებულია მისამართზე: https://www.atsu.edu.ge/index.php/conferrences · უკანასკნელი წვდომა: 05.05.2021;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია თავისი არსით არის ფართო და მომცველი დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს ინსტიტუციის ფარგლებში დანერგილი ხარისხის კულტურის გაფართებას ცალკეული ინსტიტუციური რგოლებისა

და ყოველი მიმართულების საქმიანობის ფარგლებში. წინამდებარე პროცესებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი, რომელიც აისახება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ცალკეულ პროცედურაში და მტკიცდება თითოეული მათგანის წარმატებული დასრულებით (EP-QA 1.3). ხარისხის განვითარებული ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი პროცედურა გამოიყენება უწინარესად საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, განახლებისა და განვითარებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს საფუძვლად ედება საანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი და დაინტერესებული პირების გამოკითხვები, რომელსაც აორგანიზებს ერთი მხრივ საგანმანატლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო მეორე მხრივ, ფაკულტეტის ხარისის უზრუნველყოფის სამსახური. კითხვარებს შემუშავებს, განხილვას და გამოკითხვის შედეგებს აანალიზებს ფაკულტეტის ხარისხის უზრნველყოფის სამსახური. წინამდებარე პროცესებში გათვალისწინებულია ფაკულტეტისა და ხშირ შემთხვევაში დარგის სპეციფიკა, რაც მინიშვნელოვან და პოზიტიურ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს. ანალიზის შედეგების განილვა ხდება კურიკულუმის მხარდამჭერი კომიტეტის მიერ, რაც ნიშნავს, რომ მონიტორინგის სხვა შედეგებთან ერთად პროგრამის განმახორციელებელი პირები მუდმივად ზრუნავენ საგანმანათლებლო პროგრამის განახლებასა და მოდიფიცირებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ გამოკითხულთა სპექტრი ფართოა (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალი, დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები), რეალურად გვეძლევა საგანმანათლებლო პროგრამის მულტიდიმენსიურად განვითარების სურათი.

მონიტორინგის პროცესი ითვალისწიენებს ასევე აკადემიური პროცესების კოლეგიურ შეფასებას, რომელშიც აქტიურადაა ჩაბმული როგორ აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალიც კი. წინამდებარე პროცესი ორგანიზებულია გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად, შეფასების შემდგომ გაზიარებულია და ინერგება სასწავლო პროცესში საუკეთესო პრაქტიკა, ინოვაციური მეთოდი და თანამედროვე გამოცდილება, მსგავსი ჩართულობა აუმჯობესებს სწავლის ხარისხს.

მონიტორინგის ფარგლებში ხორციელდება ასევე ცალკეული სასწავლო კურსის შეფასება, რომლის ანალიზები წარედგინება პროგრამის განმახორციელებლებს შემდგომი რეაგირებისათვის.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და საგანმანათლებლო

პროგრამების განმახორციელებლების მიერ იგეგმება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კონკრეტულ ჯგუფებთან შეხვედრა და ინტერვიუირება, რაც შესაძლებლობას მისცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პროგრამის ძრითად მენეჯმენტს დასახოს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გასაუმჯობელებელი შემდგომი ღონისძიებები. ფაკულტეტის ხარისხის ახალი ინიცირებული აქტივობა გათვლილია: *სტუდენტზე ორინეტირებული გარემოს შექმნაზე, სტუდენტის პერსპექტივიდან დანახული გაუმჯობესებული სასწავლო პროცესის ამოქმედებაზე, აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის სიახლეების თაობაზე მაქსიმალურად ინფორმირებულობაზე.*
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში 2020; • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასებები 2011-2017 (დანართი 18-1); • გამოკითხვების პაკეტი (დანართი 9); • „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018 (დანართი 16); • 2021 წლის 17 მარტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება (ოქმი N8); • ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები, უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, ბაკალავრიატი.

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 54

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ლაშა მსხილაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

მალხაზ ბერეჟიანი

ნათია კვიჟინაძე 

ნინო ქიმერიძე

ნინო ბარათაშვილი 

ელენე ხურციძე